

შპს „ფავორიტი ლეიბლი“
ს/კ: 436039494

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	4
	კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1	შესავალი	7
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3	მოშაადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
5	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	14
6	ძირითადი საშუალებები	15
7	ფული და ფულის ექვივალენტები	16
8	სასაქონლო მატერიალური მარაგი	16
9	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
10	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
11	სესხები	17
12	საშემოსავლო გადასახადები	18
13	პირობები და ვალდებულებები	18
14	დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები.	19
15	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	20

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	7	74,587	41,820
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	725,382	514,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	603,359	554,180
გაცემული ავანსები		21,082	147,028
ძირითადი საშუალებები	6	1,058,060	1,031,152
არამატერიალური აქტივები		21,025	22,734
სულ აქტივები		2,503,494	2,311,819
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		1,541	12,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	941,967	591,467
მიღებული ავანსები		55,092	6,987
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		45,481	60,565
აღებული სესხები	11	1,238,068	1,366,222
გადასახდელი დივიდენდი		40,066	40,066
სულ ვალდებულებები		2,322,214	2,077,807
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		39,379	39,379
გაუნაწილებელი მოგება		141,902	194,634
სულ საკუთარი კაპიტალი		181,281	234,012
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,503,494	2,311,819

ხელმოწერი პირები:



ნიკოლოზ დეკანოიძე
დირექტორი



სანდრო გაბელიძე
ფინანსური დირექტორი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2018 წელი
შემოსავლები	4,560,763
რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება	(3,290,794)
საერთო მოგება	1,269,970
ხელფასის ხარჯი	(891,804)
ტრანსპორტირების ხარჯი	(16,397)
იჯარის ხარჯი	(53,817)
კომერციული ხარჯი	(37,781)
კომუნიკაციის ხარჯი	(5,241)
სამეურნეო ხარჯი	(6,708)
რემონტის ხარჯი	(7,452)
მივლინების ხარჯი	(9,933)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(4,997)
საკონსულტაციო ხარჯი	(5,921)
ძირითადი საშუალებების დაზღვევის ხარჯი	(1,412)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(132,161)
ქონების გადასახადის ხარჯი	(1,180)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(33,597)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(1,208,400)
საერთო მოგება	61,570
მოგება საკურსო სხვაობიდან	2,437
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	77,315
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	79,752
საპროცენტო ხარჯი	(159,597)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(13,895)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	(173,492)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	(32,170)
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,680)
წმინდა მოგება	(35,849)

ხელმოწერი პირები:


ნიკოლოზ დეკანოიძე
დირექტორი

სანდრო გაბელაძე
ფინანსური დირექტორი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2018	39379	194 633	234 013
მოგება წლის განმავლობაში	-	(35 849)	(35 849)
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	(16 883)	(16 883)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	39379	141 901	181 281

ხელმოწერი პირები:



ნიკოლოზ დეკანოსიძე

დირექტორი



სანდრო გაბელაძე

ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	(32,727)
ცვეთა და ამორტიზაცია	132,161
ცვლილება პერიოდის განმავლობაში:	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(49,316)
სასაქონლო მარაგები	(210,477)
გაცემული ავანსები	125,946
სხვა საგადასახადო აქტივები	(15,084)
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	350,500
მიღებული ავანსები	48,105
გადასახდელი ხელფასები	(10,959)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	338,149
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მანქანა-დანადგარები	(153,943)
კომპიუტერული ტექნიკა	(653)
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	(271)
სხვა ძირითადი საშუალებები	(46)
სხვა არა-მატერიალური აქტივები	(2,500)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(157,414)
-	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
აღებული სესხის ძირის დაფარვა	(128,154)
გაცემული დივიდენდები	(19,814)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(147,968)
-	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	41,820
-	
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში	32,766
-	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	74,587

ხელმომწერი პირები:



ნიკოლოზ დეკანოსიძე

დირექტორი



სანდრო გაბელაძე

ფინანსური დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “დამზადებული საქართველოში N 1” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 15 დეკემბერს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ეტიკეტების, სტიკერებისა და სხვა წებვადი ლეიბლების ბეჭდვა. კომპანიის 75%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ივანე თევდორაშვილი და 25% წილის მფლობელია ფიზიკური პირი დავით ბეგიაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის პირველად გამოყენების ფარგლებში, 35 სექციაში მოცემული მითითებების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) გადასვლასა და იმ სტანდარტების და პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის მომზადებისას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს სტანდარტები, რომელიც არის გამოშვებული და ეფექტურად ითვლება 2018 წლისთვის. 35 სექციის მიხედვით, აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამოიციხება ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მენეჯმენტი ამხვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის არ შეიცავს რამდენიმე ძირითად ანგარიშგებას და შესაძლოა ფინანსურ ინფორმაციას, ამიტომ არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ოპერაციების შედეგების და ფულადი ნაკადების მოძრაობის სამართლიან წარდგენას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგებების სრული კომპლექტის საშუალებით, რომელშიც ასევე მოცემული იქნება შესაძარბელი ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა დანადგარები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-8
სხვა	7

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, ან პროდუქციის მიწოდება, რადგან კონტროლის გადაცემა ხდება ტრანზაქციის დღეს.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის საქონლისთვის, ფასდათმობის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება

აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის

აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატ. საშუალება	არამატერიალური აქტივები	სხვა	ჯამი
2018 წლის 1 იანვარი	1,123,617	8,577	9,304	25,069	2,197	1,168,764
შეძისცვლა	153,943	925	-	2,500	46	157,414
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,277,560	9,502	9,304	27,569	2,243	1,326,178
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 1 იანვარი	(110,518)	(644)	(1,027)	1,963	(241)	(114,393)
ცვეთის ხარჯი	(124,769)	(1,523)	(1,329)	(4,209)	(331)	(132,161)
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(235,287)	(2,167)	(2,356)	6,172	(572)	(246,161)
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	1,013,099	7,933	8,277	22,734	1294	1,053,885
2018 წლის 31 დეკემბერი	1,042,274	6,410	6,948	21,025	498	1,079,085

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომელიც იყო სრულად გაცვეთილი და მაგრამ გამოყენებაში, შეადგენდა 0 ლარს (2018 წლის 1 იანვარი: 0)

7. ფული და ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფულადი სახსრები სალაროში, ლარში	11,458	7,117
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ლარში	2,583	24,374
მიმდინარე ანგარიში ბანკში, დოლარში	-	10,330
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, ლარში	60,546	-
სულ ფული და ფულადი სახსრები	74,587	41,820
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაუმთავრებელი პროდუქცია	599,747	453,835
სხვა მარაგები	125,635	61,071
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	725,382	514,905
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მიწოდებული პროდუქციიდან	599,219	554,180
საექვო მოთხოვნები რეზერვი	4,140	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	603,359	554,180

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბერი 2018

1 იანვარი 2018

ვალდებულება მარაგების მომწოდებლების მიმართ	521,865	414,448
ვალდებულება მიღებულ სერვისზე	4,275	204
ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	415,826	176,815
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	941,967	591,467

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. აღებული სესხები

31 დეკემბერი 2018

1 იანვარი 2018

აღებული მოკლევადიანი სესხის ძირის ნაწილი	200,000	114,178
აღებული მოკლევადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	2,586	2,112
აღებული გრძელვადიანი სესხის ძირის ნაწილი	1,035,481	1,249,931
აღებული გრძელვადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	-	-
სულ აღებული სესხები	1,238,068	1,366,222

12. საშემოსავლო გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008- 2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

13. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განხილვებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2017 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

14. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის და მომსახურების მიწოდება:

	01-01-2018	რეალიზაცია	31-12-2018
ფავორიტი სტილი	17 858	97 284	0
ფავორიტი ედვერთი	0	423	0

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	01-01-2018	შეძენა	31-12-2018
ფავორიტი სტილი	0	51 661	0
ფავორიტი ედვერთი	3 416	1 588	0
დამზადებულია საქართველოში N1	266 851	0	266 759

იჯარის მიღება:

	01-01-2018	მიღება	31-12-2018
დამზადებულია საქართველოში N1	120 794	781 988	315 310

მიღებული სესხები:

	01-01-2018	მიღება	დაფარვა	31-12-2018
ფავორიტი სტილი (ძირი)	114 178	365 000	279 173	200 000
ფავორიტი სტილი (პროცენტი)	2 112	8 830	8 356	2 586

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 5 თებერვალს, კომპანიამ აიღო ახალი სესხი სს თიბისი ბანკიდან, რათა გაეკეთებინა საქართველოს სალიზინგო კომპანიიდან აღებული ლიზინგის რეფინანსირება. სესხის ოდენობამ შეადგინა 477 432 ლარი. (საპროცენტო განაკვეთი 11%)

შპს „ფავორიტი ლეიბლი“
ს/კ: 436039494

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	4
	კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1	შესავალი	7
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3	მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
5	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	14
6	ძირითადი საშუალებები	15
7	ფული და ფულის ექვივალენტები	16
8	სასაქონლო მატერიალური მარაგი	16
9	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
10	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
11	სესხები	17
12	საშემოსავლო გადასახადები	18
13	პირობები და ვალდებულებები	18
14	დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები.	19
15	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	20

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	7	74,587	41,820
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	725,382	514,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	603,359	554,180
გაცემული ავანსები		21,082	147,028
ძირითადი საშუალებები	6	1,058,060	1,031,152
არამატერიალური აქტივები		21,025	22,734
სულ აქტივები		2,503,494	2,311,819
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		1,541	12,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	941,967	591,467
მიღებული ავანსები		55,092	6,987
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		45,481	60,565
აღებული სესხები	11	1,238,068	1,366,222
გადასახდელი დივიდენდი		40,066	40,066
სულ ვალდებულებები		2,322,214	2,077,807
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		39,379	39,379
გაუნაწილებელი მოგება		141,902	194,634
სულ საკუთარი კაპიტალი		181,281	234,012
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,503,494	2,311,819

ხელმოწერი პირები:

ნიკოლოზ დეკანოზიძე
დირექტორი

სანდრო გახელიძე
ფინანსური დირექტორი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2018 წელი
შემოსავლები	4,560,763
რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება	(3,290,794)
საერთო მოგება	1,269,970
ხელფასის ხარჯი	(891,804)
ტრანსპორტირების ხარჯი	(16,397)
იჯარის ხარჯი	(53,817)
კომერციული ხარჯი	(37,781)
კომუნიკაციის ხარჯი	(5,241)
სამეურნეო ხარჯი	(6,708)
რემონტის ხარჯი	(7,452)
მივლინების ხარჯი	(9,933)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(4,997)
საკონსულტაციო ხარჯი	(5,921)
ძირითადი საშუალებების დაზღვევის ხარჯი	(1,412)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(132,161)
ქონების გადასახადის ხარჯი	(1,180)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(33,597)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(1,208,400)
საერთო მოგება	61,570
მოგება საკურსო სხვაობიდან	2,437
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	77,315
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	79,752
საპროცენტო ხარჯი	(159,597)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(13,895)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	(173,492)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	(32,170)
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,680)
წმინდა მოგება	(35,849)

ხელმოწერი პირები:

 ნიკოლოზ დეკანოზიძე
 დირექტორი

 სანდრო გახელაძე
 ფინანსური დირექტორი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2018	39379	194 633	234 013
მოგება წლის განმავლობაში	-	(35 849)	(35 849)
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	(16 883)	(16 883)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	39379	141 901	181 281

ხელმოწერილი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე

დირექტორი

სანდრო გახელაძე

ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	(32,727)
ცვეთა და ამორტიზაცია	132,161
ცვლილება პერიოდის განმავლობაში:	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(49,316)
სასაქონლო მარაგები	(210,477)
გაცემული ავანსები	125,946
სხვა საგადასახადო აქტივები	(15,084)
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	350,500
მიღებული ავანსები	48,105
გადასახდელი ხელფასები	(10,959)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	338,149
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მანქანა-დანადგარები	(153,943)
კომპიუტერული ტექნიკა	(653)
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	(271)
სხვა ძირითადი საშუალებები	(46)
სხვა არა-მატერიალური აქტივები	(2,500)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(157,414)
-	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
აღებული სესხის ძირის დაფარვა	(128,154)
გაცემული დივიდენდები	(19,814)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(147,968)
-	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	41,820
-	
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში	32,766
-	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	74,587

ხელმოწერი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე

დირექტორი

სანდრო გახელაძე

ფინანსური დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “დამზადებული საქართველოში N 1” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 15 დეკემბერს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ეტიკეტების, სტიკერებისა და სხვა წებვადი ლეიბლების ბეჭდვა. კომპანიის 75%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ივანე თევდორაშვილი და 25% წილის მფლობელია ფიზიკური პირი დავით ბეგიაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის პირველად გამოყენების ფარგლებში, 35 სექციაში მოცემული მითითებების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) გადასვლასა და იმ სტანდარტების და პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის მომზადებისას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს სტანდარტები, რომელიც არის გამოშვებული და ეფექტურად ითვლება 2018 წლისთვის. 35 სექციის მიხედვით, აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მენეჯმენტი ამხვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის არ შეიცავს რამდენიმე ძირითად ანგარიშგებას და შესაძარ ფინანსურ ინფორმაციას, ამიტომ არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ოპერაციების შედეგების და ფულადი ნაკადების მოძრაობის სამართლიან წარდგენას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგებების სრული კომპლექტის საშუალებით, რომელშიც ასევე მოცემული იქნება შესაძარბელი ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-8
სხვა	7

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, ან პროდუქციის მიწოდება, რადგან კონტროლის გადაცემა ხდება ტრანზაქციის დღეს.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის საქონლისთვის, ფასდათმობის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება

აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმესახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის

აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატ. საშუალება	არამატერიალური აქტივი	სხვა	ჯამი
2018 წლის 1 იანვარი	1,123,617	8,577	9,304	25,069	2,197	1,168,764
შემოსვლა	153,943	925	-	2,500	46	157,414
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,277,560	9,502	9,304	27,569	2,243	1,326,178
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 1 იანვარი	(110,518)	(644)	(1,027)	1,963	(241)	(114,393)
ცვეთის ხარჯი	(124,769)	(1,523)	(1,329)	(4,209)	(331)	(132,161)
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(235,287)	(2,167)	(2,356)	6,172	(572)	(246,161)
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	1,013,099	7,933	8,277	22,734	1294	1,053,885
2018 წლის 31 დეკემბერი	1,042,274	6,410	6,948	21,025	498	1,079,085

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომელიც იყო სრულად გაცვეთილი და მაგრამ გამოყენებაში, შეადგენდა 0 ლარს (2018 წლის 1 იანვარი: 0)

7. ფული და ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფულადი სახსრები სალაროში, ლარში	11,458	7,117
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ლარში	2,583	24,374
მიმდინარე ანგარიში ბანკში, დოლარში	-	10,330
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, ლარში	60,546	-
სულ ფული და ფულადი სახსრები	74,587	41,820
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაუმთავრებელი პროდუქცია	599,747	453,835
სხვა მარაგები	125,635	61,071
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	725,382	514,905
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მიწოდებული პროდუქციიდან	599,219	554,180
საექვო მოთხოვნები რეზერვი	4,140	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	603,359	554,180

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ვალდებულება მარაგების მომწოდებლების მიმართ	521,865	414,448
ვალდებულება მიღებულ სერვისზე	4,275	204
ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	415,826	176,815
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	941,967	591,467

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. აღებული სესხები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აღებული მოკლევადიანი სესხის ძირის ნაწილი	200,000	114,178
აღებული მოკლევადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	2,586	2,112
აღებული გრძელვადიანი სესხის ძირის ნაწილი	1,035,481	1,249,931
აღებული გრძელვადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	-	-
სულ აღებული სესხები	1,238,068	1,366,222

12. საშემოსავლო გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008- 2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

13. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულია (2017 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

14. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის და მომსახურების მიწოდება:

	01-01-2018	რეალიზაცია	31-12-2018
ფავორიტი სტილი	17 858	97 284	0
ფავორიტი ედვერთი	0	423	0

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	01-01-2018	შეძენა	31-12-2018
ფავორიტი სტილი	0	51 661	0
ფავორიტი ედვერთი	3 416	1 588	0
დამზადებულია საქართველოში N1	266 851	0	266 759

იჯარის მიღება:

	01-01-2018	მიღება	31-12-2018
დამზადებულია საქართველოში N1	120 794	781 988	315 310

მიღებული სესხები:

	01-01-2018	მიღება	დაფარვა	31-12-2018
ფავორიტი სტილი (ძირი)	114 178	365 000	279 173	200 000
ფავორიტი სტილი (პროცენტი)	2 112	8 830	8 356	2 586

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 5 თებერვალს, კომპანიამ აიღო ახალი სესხი სს თიბისი ბანკიდან, რათა გაეკეთებინა საქართველოს სალიზინგო კომპანიიდან აღებული ლიზინგის რეფინანსირება. სესხის ოდენობამ შეადგინა 477 432 ლარი. (საპროცენტო განაკვეთი 11%)